



საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის N139/18¹ გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

თომა ჯაჯანიძე (სტუდენტი)

ფაქტები

თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული ფულადი ვალდებულების გადახდის საქმეზე პროცესის მხარეებს წარმოადგენდნენ ადვოკატები დ. ა. და გ. ჟ. დ. ა.-ის (შემდგომში საჩივრის ავტორის) პრეტენზია გ. ჟ.-ის (მოპასუხე ადვოკატის) მიმართ გამოიხატა შემდეგში: 2018 წლის 25 მაისს პროცესზე მისი გამოუცხადებლობით ისარგებლა პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატმა გ. ჟ.-მა და სასამართლოს მიმართა დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის მოთხოვნით მაშინ, როდესაც მოსამართლის მიერ პროცესზე გაკეთებული განცხადების შედეგად მისთვის ცნობილი იყო კოლეგის, ადვოკატ დ. ა.-ის პროცესზე გამოუცხადებლობის გამომწვევი გარემოების არსებობა.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ა.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ჟ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ გ. ჟ.-ს მიმართ არ აღძრა დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

სამართლებრივი შეფასება

საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია იმოქმედოს კოლეგიალობის პრინციპის ფარგლებში, რომლის უმთავრეს კომპონენტს წარმოადგენს კოლეგა ადვოკატის პატივისცემა „არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.“

პროფესიის არსიდან გამომდინარე, კოლეგებს შორის ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს ნდობასა და ურთიერთთანამშრომლობას, თუმცა ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ გამორიცხულია კოლეგიალობის პრინციპის დარღვევაზე აპელირება, მაშინ, როცა ადვოკატი მოქმედებს კანონით მისთვის მინიჭებული საპროცესო უფლებამოსილებების ფარგლებში, რაც მიმართულია და მიზნად ისახავს კლიენტის ინტერესის დაცვას. მოწინააღმდეგე ადვოკატის პოზიციის გაზიარებისას თუ მხარდაჭერისას ადვოკატმა აქცენტი უნდა გააკეთოს მისი კლიენტის საუკეთესო ინტერესზე. ადვოკატს აქვს უფლება „კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“.

„პროფესიის კორპორატიული არსი მოითხოვს ადვოკატთა შორის ნდობასა და თანამშრომლობაზე დამყარებულ ურთიერთობას მათი კლიენტების სასარგებლოდ სასამართლო პროცესების და სხვა კლიენტისთვის საზიანო ქმედებების თავიდან აცილების მიზნით. თუმცა დაუშვებელია კლიენტის ინტერესებზე წინ პროფესიის ინტერესების დაყენება.“ შესაბამისად არ იკვეთება კოლეგიალურობის პრინციპის დარღვევის ნიშნები.

დასკვნა

¹ https://www.gba.ge/pdf/5d2f2a7335828.pdf/139_18,%2030.11.18,%20ar%20aghdzvra.pdf

ეთიკის კომისიამ ადვოკატის მხრიდან დარღვეულად არ მიიჩნია კოლეგიალობის პრინციპი.